<u>იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი</u>

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

სამართალმცოდნეობა

სწავლების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა დამტკიცებულია 2006 წელს.

განახლებული სახით რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

სამსახურის ხელმძღვანელი /პროფ. დ. მჭედლიშვილი/

ოქმი №18, 18.06.2010 .

მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

დეკანი /ასოც. პროფ. ი. შიოშვილი/

ოქმი №16, 23.06. 2010

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

უნივერსიტეტის რექტორი /პროფ. გ. გოცირიძე/

ოქმი №24, 28.06. 2010

პროგრამის სახელწოდება: სამართალმცოდნეობა

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ელგუჯა ჭანტურია

საფეხური: პირველი, ბაკალავრიატი

პროგრამის ტიპი: ძირითადი, აკადემიური

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი ხარისხი: სამართლის ბაკალავრი

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა არის იურისტის პროფესიის დაუფლების საშუალება როგორც საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი, ისე კერძო თუ საჯარო სექტორში დასაქმებული იურისტისათვის. სამართალცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სამართლებრივი საკითხებისა და მიღებული ცოდნის გამოყენების სწავლებას. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სპეციალიზაციაში სიღრმისეული ცოდნის მიცემა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი

სწავლება მოიცავს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრი), ერთი სემესტრის ხანგრძლივობაა 15 კვირა. VIII სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკა და საკვალიფიკაციო (საბაკალავრო) ნაშრომის მომზადება – დაცვა.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს საშუალო განათლების მქონე პირი, რომელიც ჩაირიცხება უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გმოცდების გავლის შემდეგ:

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს მაღალი იურიდიული კულტურის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ფართო ცოდნა სამართლის არსისა და ბუნების შესახებ;
- გამოუმუშაოს სტუდენტს პროფესიული პასუხისმგებლობა და განუვითაროს ის უნარები, რომელიც განაპირობებს მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას;
- უზრუნველყოს სწავლის მაღალი ხარისხი და შედეგზე ორიენტირებული სწავლება;
- სწავლის პროცესში ყურადღება გამახვილდეს ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტებზე, უფლებადამცავი ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მათი რეალიზაციის თანამედროვე მექანიზმებზე;
- შეიძინოს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი;
- გამოუმუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი

ზოგადი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

- სამართლის სფეროს ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების ცოდნა;

• ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და მისი მოკვლევის, მოპოვების, შეფასების, დამუშავების და მიწოდების მეთოდების და სათანადო ტერმინოლოგიის ცოდნა;

• პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების ცოდნა და გაცნობიერება.

• ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნა;

• ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა;

• სამართლის ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი;

• საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;

• სამართალმცოდნეობის სფეროში სისტემური ცოდნა, რაც აისახება სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების ცოდნაში, მათ შორის ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ცოდნაში, მის ურთიერთკავშირს სამართლის სხვა სისტემებთან.

ასევე შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

სამართლის საფუძვლებისა და კერძო სამართლის მიმართულებით:

• სამართალის არსი, თეორიები, ძირითადი პრინციპები, განმარტება, სამართლის ოჯახები (შესავალი სამართალმცოდნეობაში);

• ქართული სამართლის ისტორიული განვითარება, ძეგლები, წყაროები (ქართული სამართლის ისტორია).

• ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების ცოდნა;

- სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, ზოგადსამართლებრივი ღირებულებები;
- ადამიანის საყოველთაო უფლებები და თავისუფლებები;
- კერძო სამართლის სისტემა, უზოგადესი ცნებები და ინსტიტუტები (შესავალი სამოქალაქო სამართალში);
- ვალდებულების წარმოშობა, შინაარსი, დარღვევა, მეორადი მოთხოვნები, შეწყვეტა (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი);
- კანონმდებლობით გათვალისწინებული და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე ხელშეკრულების ტიპები, ხელშეკრულების ცალკეული სახეები (სახელშეკრულებო სამართალი);
- ქონება, საკუთრებისა და სხვა სანივთო უფლებების შინაარსი, წარმოშობა და შეწყვეტა (სანივთო სამართალი);
- დელიქტიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებიდან წარმოშობილი ურთიერთობების არსი, მათი მოწესრიგების თავისებურებები (კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები);
- საოჯახო და მემკვიდრეობითი ურთიერთობები, ფუნდამენტური პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები (საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი);
- შრომითი ურთიერთობების სუბიექტები და მათი უფლება-მოვალეობები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შეჩერება, შეწყვეტა (შრომის სამართალი);
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის არსი, სუბიექტები, მათი დამახასიათებელი ნიშნები, შექმნა და საქმიანობის პრინციპები, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (საკორპორაციო სამართალი);

საჯარო სამართლის მიმართულებით:

- სახელმწიფო მოწყობისა და მმართველობის ფორმები, მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები და შესაბამისი ინსტიტუტები პირადი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები (კონსტიტუციური სამართალი);
- ადმინისტრაციულ–სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და მათი განხორციელების წესები (ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი);
- ადგილობრივი თვითმართველობის ძირითადი პრინციპები, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები, მათი კომპეტენცია (მუნიციპალური სამართალი).
- საგადასახადო და საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობები, სუბიექტები, მათი უფლებამოსილება, გადასახადები და გადასახდელები, პასუხისმგებლობა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის (საგადასახადო და საბაჟო სამართალი)
- სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში (სამოქალაქო სამართლის პროცესი);
- ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპები, საქმისწარმოების თავისებურებები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში (ადმინისტრაციული სამართლის პროცესი);
- საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები (საერთაშორისო საჯარო სამართალი);
- ავსტრიის, ინდოეთის, ეგვიპტის, საბერძნეთის, პორტუგალიის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის საფუძვლები (საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი).

სისხლის სამართლის მიმართულებით:

- სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები და ინსტიტუტები (სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი);
- ცალკეული დანაშაულები (სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I, II);
- სისხლისსამართლებრივი წარმოების პრინციპები და თავისებურებები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში (სისხლის სამართლის პროცესი).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- კურსდამთავრებულს შესწევს უნარი, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას. გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის;
- პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალურ-დემოკრატიული ფასეულობების დაცვისადმი მისწრაფება;
- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეების მიდევნება და ცოდნის მუდმივად განახლება;
- დაადგინოს ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია. დამოუკიდებლად გაიღრმავოს ცოდნა.

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი:

- სამართლის სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა;
- მონაცემთა ინტერპრეტაცია, პრობლემების იდენტიფიცირება სამართლის სფეროს სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;
- გადაწყვეტილების არგუმენტირება სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით;

- საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს სამართლებრივი საკითხების იურიდიული კუთხით გააზრება, კანონთა კრებულების, კოდექსების, სხვადასხვა ნორმატიული აქტების სწორად გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებათა მოძიება, ფაქტებისა და მოვლენების სწორი კვალიფიკაცია, იურიდიული საქმისწარმოებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა, აგრეთვე პროცესუალური ნორმების გამოყენება და ზუსტად შესრულება.
- კურსდამთავრებულს გააჩნია დებატებში ჩართვის, განსხვავებული აზრის გაგებისა და სამართლებრივი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების, ფაქტებიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირების, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

- ბაკალავრს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი, როგორც ვერბალური, ასევე წერილობითი ფორმით, გადმოსცეს წაკითხულის ან პრაქტიკული საქმიანობის შედეგად ათვისებული ინფორმაცია სრულყოფილად, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, როგორც სპეციალისტებთან ასევე არასპეციალისტებთან;
- კურსდამთავრებული ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს.

სწავლის უნარი:

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს გააჩნია სწავლის, პროფესიული განვითარების, საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

ღირებულებები:

კურსდამთავრებული გამოიმუშავებს პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარს; ხელს შეუწყობს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედებს სამართლიანობის, ეთიკური ნორმების, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს:
- საჯარო დაწესებულებებში;
- საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციებში;
- არასამთავრობო დაწესებულებებში;
- კერძო სექტორში.

სამართლის ბაკალავრის დასაქმება, ცალკეულ იურიდიულ პროფესიათა დაკავებისას, რეგულირდება საქართველოს კანონებით: ,,ადვოკატთა შესახებ'', ,,პროკურატურის შესახებ'', ,,ნოტარიატის შესახებ'', ,,საერთო სასამართლოების შესახებ''.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა გააგძელოს II საფეხურზე, მაგისტრატურაში.

ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური შეფსებებისა და დასკვნითი გამოცდის. ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურა. საგნის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმების დაზუსტება.

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი საგნის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დასკვნით გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 91-100 ქულა- ნიშანი A (ფრიადი)
- 81-90 ქულა - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- 71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი)
- 61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- 51-60 ქულა - ნიშანი E (საკმრისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება

საგნის სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვებული ქულათა ჯამიც.

- 40 და ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა), სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტირდება საგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

ანოტაციები:

შესავალი სამართალმცოდნეობაში

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ თეორიული ცოდნა სამართლის არსისა და მნიშვნელობის შესახებ; შეისწავლიან სპეციალობის ზოგად თეორიულ საკითხებს და სამართლის ცალკეული დარგების ძირითად დებულებებს.

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა სამართლის ისტორია

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის გაცნობა სტუდენტს მისცემს ცოდნას სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლებრივ ნორმებზე. შეისწავლის იმ გამოცდილებას, რაც მსოფლიოს ცივილიზებულმა ხალხმა დააგროვა სახელმწიფოს მშენებლობისა და სამართებლივ სფეროში.

შესავალი სამოქალაქო სამართალში

სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს სამოქალაქო სამართლის ძირითად საკვანძო საკითხებს, თანამედროვე კონცეფციებსა და მოდელებს; გაუფართოვებს თვალსაწიერს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმათა მიზნებისა და მიმართულებათა შესახებ.

ქართული სამართლის ისტორია

ქართული სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის შესწავლა სტუდენტს მისცემს საშუალებას, გაეცნოს ქართველთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ სამართებლივ წყაროებს, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სისტემა და სხვ.

რომის სამართალი

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ რომის სამართლის არსისა და მიზნის გათვითცნობიერება. რომის სამართლის სფეროში არსებული იურიდიული ტერმინოლოგიების ათვისება.

ლოგიკა

სალექციო კურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ აზროვნების ლოგიკური პროცესი, იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს სწორი დასაბუთება, რა განსხვავებაა სწორ და მცდარ დასკვნებს შორის, არსებობს თუ არა დასაბუთებაში შეცდომის აღმოჩენის წესები, როდის გვაძლევს მოცემული მსჯელობა ან მსჯელობათა ჯგუფი შესაძლებლობას, მათგან სწორად გამოვიყვანოთ ზოგიერთი სხვა მსჯელობა. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი დაეუფლება: დასაბუთებაში შეცდომის აღმოჩენის წესებს; მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპებს; კამათის წარმართვის ხერხებს; დაცვის და შეტევის ლოგიკურ წესებს კამათში და სხვ.

აკადემიური წერა

სალექციო კურსის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ანალიზისა და შეფასების გამომუშავების უნარს და მის წერილობით გადმოცემას; საკვლევი პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას; სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებას და ა.შ.

კურსის შედეგად სტუდენტები დაეუფლებიან არგუმენტირებული ესეს, კრიტიკის, ანალიტიკური რეფერატისა და საბაკალავრო ნაშრომების შექმნის

ტექნიკას; შეეძლებათ წერითი ნამუშევრები წარმოადგინონ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვირებული აკადემიური წერის პრინციპების მიხედვით.

კონსტიტუციური სამართალი

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნების უნარი, ეცოდინება კონსტიტუციური სამართლის მნიშვნელობა და ადგილი სამართლის სისტემაში, ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები და მათი რეალიზაციის ფორმები და საშუალებები, კონსტიტუციური სამართლის სუბიექტების სამართლებრივი სტატუსი, ხელისუფლების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის როლი და ფორმები. ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს გაუადვილდება სამართლის სხვა დარგების შესწავლა.

სანივთო სამართალი

სასწავლო დისციპლინის დასრულების შემდეგ სტუდენტმა: უნდა იცოდეს სანივთო სამართლის სისტემა და არსი. უნდა შეძლოს სანივთო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების ანალიტიკური შეფასება და სწორი გადაწყვეტა. უნდა შეძლოს ვალდებულებითი და სანივთო სამართლის ინსტიტუტების გამიჯვნა და მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება, სანივთო სამართლის სფეროში არსებული დავების სწორად გადაწყვეტა.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I

სტუდენტი შეისწავლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელთან დაკავშირებული სსკ 1-38 მუხლით გათვალისწინებულ ყველა დებულებას.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი

სტუდენტს გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნების უნარი, ეცოდინება საჯარო საქმიანობის მნიშვნელობა, საჯარო ორგანოების რაობა, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების არსი.

იგი შეძლებს ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენებასა და საკუთარი სამართლებრივი პოზიციის გამოხატვასა და დასაბუთებას.

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეისწავლის საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართლის საფუძვლებს და გაერკვევა საზღვარგარეთის ქვეყნების (ამერიკის, შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იაპონიის, ჩინეთის, უკრაინის, ინდოეთის, საფრანგეთის, ეგვიპტის...) კონსტიტუციების პრობლემატურ საკითხებში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართალი

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ თეორიული ცოდნა ადამიანის უფლებათა არსის შესახებ და გააცნობიერებენ მის მნიშვნელობასა და როლს სამართლებრივ სახელმწიფოში. შეისწავლიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული დაცვის ინსტიტუტებისა და მექანიზმების მუშაობის ძირითად პრინციპებს.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები შეისწავლიან ვალდებულებითი სამართლის საფუძვლებსა და ისტორიას. გაცნობიერებენ ვალდებულებითი სამართლის საერთო სტრუქტურას და ამ დისციპლინასთან დაკავშირებული მეთოდების სწორ გამოყენებას.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი II

სტუდენტი შეისწავლის სსკ 39-1077 მუხლებით გათვათვალისწინებულ დებულებებს. შეისწავლის სასჯელის სახეების, ზომების, გამოყენების, სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებსა და წესებს და ამ საკითხებზე სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს.

საერთაშორისო საჯარო სამართალი

კურსის სწავლება მიზნად ისახავს სტუდენტს გამოუმუშავდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმების ანალიზის, ნორმატიულ აქტებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები;

მუნიციპალური სამართალი

მუნიციპალური სამართალის შესწავლის შემდეგ სტუდენტი საფუძვლიანად დაეუფლება ადგილობრივი თვითმართველობის არსს, შეისწავლის მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. აგრეთვე სტუდენტს გამოუმუშავდება ნორმატიულ აქტებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

სამართლის ფილოსოფია

სალექციო კურსის შესწავლის შემდეგ, სტუდენტს ჩამოუყალიბდება გარკვეული შეხედულება სამართლის ფილოსოფიაზე, მის ძირითად პრობლემატიკაზე, მთავარ მიმართულებებზე და თავად სამართლის ღირებულებაზე. მას შესაძლებლობა ექნება, გააცნობიეროს ეთიკური და ჰუმანური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჭეშმარიტ ანუ „მართალ სამართალს," რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს მის იურიდიულ აზროვნებაზე და იურიდიულ საქმიანობაზე.სტუდენტი ნათლად გაიაზრებს სამართლის კავშირს კულტურის სხვა სფეროებთან,ფორმულირებული და კოდირებული სამართლებრივი დებულებების შესაბამისობას მათს საფუძვლად მდებარე იდეებთან და ზნეობრივ მიზნებთან.

საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ თეორიული ცოდნა საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებისა და საოჯახო სამართლის პრინციპების შესახებ: ქორწინება, მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, ოჯახის წევრთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მეურვეობა და მზრუნველობა, მემკვიდრეობის ცნება, მემკვიდრეობის სახეები, სამკვიდრო ქონება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხები; აგრეთვე საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის სფეროში საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

საგადასახადო და საბაჟო სამართალი

კურსი სტუდენტებს გააცნობს საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხებს, საგადასახადო და საბაჟო

ორგანოებს, საბაჟო გადასახადების ცნებას და სხვა. სტუდენტები კარგად გაერკვევიან საბაჟო და საგადასახადო გარემოში და სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკაში.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I

სტუდენტები შეისწავლიან სსკ 108-274 მუხლებით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის სწორად დაკვალიფიცირებას.

სამოქალაქო სამართლის პროცესი

სამოქალაქო საპროცესო სამართალის შესწავლის შემდეგ, სტუდენტი საფუძვლიანად დაეუფლება სამოქალაქო სამართალწარმოების არსს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებსა და მოთხოვნებს, სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს. აგრეთვე სტუდენტს გამოუმუშავდება სამოქალაქო პროცესუალური ნორმების ანალიზის, მათი პრაქტიკული გამოყენების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის, ნორმატიულ აქტებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები.

დმინისტრაციული სამართლის პროცესი

სტუდენტს გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნების უნარი, დაეუფლება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმებსა და მოთხოვნებს, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს. გამოუმუშავდება ადმინისტრაციული პროცესუალური ნორმების ანალიზის, მათი პრაქტიკული გამოყენების, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის, ნორმატიულ აქტებსა და სპეციალურ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები.

სისხლის სამართალი კერძო ნაწილი II

სტუდენტებს გამოუმუშავდებათ სსკ 275-413 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სწორად დაკვალიფიცირების უნარ-ჩვევები. კერძოდ, შეისწავლის სატრანსპორტო, კომპიუტერულ, გარემოს წინააღმდეგ მიმართულ, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს, ტერორიზმს, სამოხელეო, მმართველობის წესი, სასამართლო ორგანოებისა და

საქმიანობის, სამხედრო, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული და სსკ 275-413 მუხლებით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებს.

საკორპორაციო სამართალი

სასწავლო დისციპლინა სტუდენტებს შეასწავლის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და მისცემს სათანადო თეორიულ ცოდნას სამეწარმეო საქმიანობაზე ორიენტირებული კერძო სამართლის გაერთიანების შესახებ, რომელიც ამ გაერთიანების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები გააცნობიერებენ საკორპორაციო სამართლის არსს, მნიშვნელობას, წყაროების; საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, მათი დაფუძნების წესსა და პასუხისმგებლობებს.

სისხლის სამართლის პროცესი (I-II ნაწილი)

კურსის სრულყოფილად გავლის შედეგად სტუდენტი თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენს: იმ უნარ-ჩვევებს (სს პროცესის ამა თუ იმ მონაწილის სტატუსში საუბრის მანერა, მოქმედების ტაქტიკა, ლავირება კანონით და სხვა), რაც აუცილებელი და საჭიროა მომავალში მის მიერ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული უზრუნველყოფილია კურსის გავლის პერიოდში შეთავაზებული იმიტირებული პროცესებით; კურსი უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მისადაგებისა და კანონის სწორად განმარტებისა და გამოყენების ზოგად, საწყის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფილია სამუშაო ჯგუფებში კაზუსების განხილვა-ამოხსნით და სხვა.

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

სასწავლო კურსი სტუდენტებს მისცემს თეორიულ ცოდნას კანონისმიერ ვალდებულებათა თეორიებისა და პრაქტიკის შესახებ; სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ თეორიული ცოდნა შემდეგ საკითხებში: საზიარო უფლებები; უსაფუძვლო გამდიდრება; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება; დელიქტური ვალდებულებანი; უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობა და სხვ.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

სასწავლო კურსი სტუდენტებს მისცემს ცოდნას საქართველოს სამრეწველო საკუთრების სამართალში; სალექციო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ თეორიული ცოდნა შემდეგ ძირითად საკითხებზე: საპატენტო სამართლის ცნება, საპატენტო უფლება-მოვალეობანი, სასაქონლო და მომსახურების ნიშნების არსი, გეოგრაფიული აღნიშვნები, ნოუ-ჰაუ.

საერთაშორისო სისხლის სამართალი

სტუდენტები აითვისებენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას, სისტემას, სტრუქტურას და უფლებამოსილებას. ასევე შეძლებენ საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციაში შემავალ დანაშაულთა სწორ კვალიფიკაციას. გაერკვევა იმ ქმედებათა კვალიფიკაციაში რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციას.

საკონსტიტუციო მართლმსაჯულება

კურსი სტუდენტებს შეასწავლის იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც აუცილებელია კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებისას. სასწავლო კურსი მისცემს სტუდენტს იმ აუცილებელ ცოდნას, რომელიც სჭირდება სამართლებრივი სფეროს ამაღლებას, კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციური კანონების პატივისცემას, მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

კრიმინოლოგია

კურსი შეასწავლის სტუდენტებს კრიმინოლოგიის ცნებას, საგანს, სისტემას, კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდებს, დამნაშავეობის ცნებას, მის მიზეზებსა და ხელშემწყობ პირობებს, დანაშაულის ჩამდენი პირისა და დამნაშავის პიროვნების შესწავლას და კრიმინოლოგიასთან დაკავშირბულ სხვა ძირითდ საკითხებს.

კურსი უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ დამნაშავეობის ცნების, დანაშაულთა ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლას, დამნაშავეობის

პროგნოზირების, მის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების მეთოდების დაუფლებას და პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავებას.

იურიდული ფსიქოლოგია

კურსის გავლის შემდეგ ბაკალავრი შეისწავლის ფსიქიკური კანონზომიერებისა და ფსიქოლოგიური ცოდნის გამოვლინებასა და გამოყენებას სამართლებრივი რეგულირების სფეროსა და იურიდიულ საქმიანობაში. კურსი აამაღლებს სტუდენტის იურიდიული საქმიანობის ეფექტურობას და ურთიერთობების კულტურას.

კრიმინალისტიკა

კურსი სტუდენტებს შეასწავლის კრიმინალისტიკის ოთხივე განყოფილებას (მეთოდოლოგია, ტექნიკა, ტაქტიკა და ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა).

სუდენტები გამოიმუშავებენ კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკისა და ცალკეული დანაშაულთა გახსნის მეთოდების ეფექტურად გამოყენებას.

მატერიალური ტექნიკური ბაზა

მატერიალურ ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც გამოყოფილია აღნიშნული ფაკულტეტის სააუდიტორიო ფონდი, იურიდიული კლინიკა, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსები

<u>**დარგის სასწავლო კურსების წამყვანი პერსონალი:**</u>

1. ელგუჯა ჭანტურია -სამართლის დოქტორი, პროფესორი _სამართლის საფუძვლებისა და კერძო სამართლის მოდული;

2. გიორგი გიორგაძე -სამართლის დოქტორი, პროფესორი _საჯარო სამართლის მოდული
3. ირინა ბოხაშვილი -სამართლის დოქტორი, პროფესორი _სისხლის სამართლის მოდული
4. რამაზ კვარაცხელია -სამართლის დოქტორი, მოწვეული პროფესორი
5. ჯუმბერ მაილაშვილი -დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი
6. კობა ფაჩოშვილი -დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი
7. გია ფარადაშვილი -მოწვეული მასწავლებელი
8. გიორგი მაისურაძე–მოწვეული მასწავლებელი
9. ნუნუ ნემსიწვერიძე -მოწვეული მასწავლებელი

<u>**საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების წამყვანი პერსონალი:**</u>

<u>ფილოსოფია, ლოგიკა</u>

10. ირმა შიოშვილი -ფილოსოფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

<u>ფსიქოლოგია</u>

11. ქეთევან კახიანი -ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

<u>აკადემიური წერა</u>

12. ნინო კახაშვილი -ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

<u>უცხო ენები</u>

13. ია კოკოშაშვილი -მოწვეული მასწავლებელი (ინგლისური ენა);
14. ნინო დანელიშვილი -მოწვეული მასწავლებელი (გერმანული ენა);
15. ძამუკაშვილი ლალი -დოქტორანტი (ფრანგული ენა);
16. ნათელა ღუდუშაური -ფილოლოგიის დოქტორი (რუსული ენა).

<u>საინფორმაციო ტექნოლოგიები</u>

17. მარი ზაქარიაშვილი -პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: "სამართალმცოდნეობის" სასწავლო გეგმა

№	საგნის (მოდულის) დასახელება	სულ კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება კურსების და სემესტრების მიხედვით								სულ სათები	სათები				
			Iკურსი		IIკურსი		IIIკურსი		IVკურსი			მათ შორის				
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		საკონტაქტო	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	დამოუკიდებელი
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5	5								125	30	15	15		95
2	საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები	5	5								125	30	15	15		95
3	საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და სამართლის ისტორია	5	5								125	30	15	15		95
4	უცხო ენა	15	5	5	5						375	90	45	45		285
5	საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები	5	5								125	30	15	15		95

6	კომპიუტერული ტექნოლოგიები	5	5								125	30	15	15		95
7	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5		5							125	30	15	15		95
8	ქართული სამართლის ისტორია	5		5							125	30	15	15		95
9	რომის სამართალი	5		5							125	30	15	15		95
10	ლოგიკა	5		5							125	30	15	15		95
11	კონსტიტუციური სამართალი	5		5							125	30	15	15		95
12	სანივთო სამართალი	5			5						125	30	15	15		95
13	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I	5			5						125	30	15	15		95
14	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	5			5						125	30	15	15		95
15	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	5			5						125	30	15	15		95
16	ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართალი	5			5						125	30	15	15		95

17	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5				5					125	30	15	15		95
18	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი II	5				5					125	30	15	15		95
19	საქმის წარმოება	5				5					125	30	15	15		95
20	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5				5					125	30	15	15		95
21	მუნიციპალური სამართალი	5				5					125	30	15	15		95
22	სამართლის ფილოსოფია	5				5					125	30	15	15		95
23	ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი	5					5				125	30	15	15		95
24	საოჯახო მემკვიდრეობითი სამართალი	5					5				125	30	15	15		95
25	საგადასახადო და საბაჟო სამართალი	5					5				125	30	15	15		95
26	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I	5					5				125	30	15	15		95

27	სამეწარმეო სამართალი	5					5				125	30	15	15		95
28	სამოქალაქო სამართლის პროცესი	5					5				125	30	15	15		95
29	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	5						5			125	30	15	15		95
30	შრომის სამართალი	5						5			125	30	15	15		95
31	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	5						5			125	30	15	15		95
32	საკორპორაციო სამართალი	5						5			125	30	15	15		95
33	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი I	5						5			125	30	15	15		95
34	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	5						5			125	30	15	15		95
35	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი II	5							5		125	30	15	15		95
36	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	5							5		125	30	15	15		95
37	საერთაშორისო სისხლის სამართალი	5							5		125	30	15	15		95

38	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	5							5		125	30	15	15		95
39	სასჯელაღსრულებითი სამართალი	5							5		125	30	15	15		95
40	კრიმინოლოგია	5							5		125	30	15	15		95
41	იურიდიული ფსიქოლოგია	5								5	125	30	15	15		95
42	კრიმინალისტიკა	5								5	125	30	15	15		95
43	სასწავლო პრაქტიკა	10								10	250	60	-	40		190
44	**საბაკალავრო ნაშრომი**	10								10	250	10				240
	სულ	240	30	30	30	30	30	30	30	30	6000	1360	660	700		4640

სამართალმცოდნეობა (ბაკალავრიატი)

	საგნის დასახელება	სემესტრი	კრედიტი	პრერეკვიზიტი	ლექტორები
1	შესავალი სამართალმცოდნეობაში	I	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია
2	საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები	I	5	არ აქვს	მოწვ. მასწ. გ. მაისურაძე
3	საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და სამართლის ისტორია	I	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია ასისტ.-პროფ. კ. ფაჩოშვილი
4	უცხო ენა	I-II-III	5	არ აქვს	მოწვ. მასწ. ი. კოკოშაშვილი ნ. დანელიშვილი ნ. ღუდუშაური ლ. ძამუკაშვილი
5	აკადემიური წერა	I	**5**	არ აქვს	ასოც. პროფ. ნ. კახაშვილი
6	კომპიუტერული ტექნოლოგიები	I	5	არ აქვს	ასოც. პროფ. მ. ზაქარიაშვილი
7	შესავალი სამოქალაქო სამართალში	II	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია
8	ქართული სამართლის ისტორია	II	5	საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და სამართლის ისტორია	მოწვ. პროფ. ა. ფარსადანიშვილი
9	რომის სამართალი	II	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია
10	ლოგიკა	II	5	არ აქვს	ასოც. პროფ. ი. შიოშვილი

11	კონსტიტუციური სამართალი	II	5	არ აქვს	პროფ. გ. გიორგაძე
12	სანივთო სამართალი	III	5	შესავალი სამოქალაქო სამართალში	პროფ. ე. ჭანტურია
13	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I	III	5	არ აქვს	მოწვ. პროფ. რ. კვარაცხელია ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
14	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	III	5	კონსტიტუციური სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე
15	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	III	5	კონსტიტუციური სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე
16	ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართალი	III	5	არ აქვს	პროფ. გ. გიორგაძე
17	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	IV	**5**	სანივთო სამართალი	პროფ. ე. ჭანტურია
18	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი II	IV	5	სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი I	მოწვ. პროფ. რ. კვარაცხელია ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
19	საქმის წარმოება	IV	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია
20	საერთაშორისო საჯარო სამართალი	IV	**5**	ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე

21	მუნიციპალური სამართალი	IV	5	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე
22	სამართლის ფილოსოფია	IV	5	არ აქვს	ასოც. პროფ. ი. შიოშვილი
23	ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი	V	5	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	პროფ. ე. ჭანტურია
24	საოჯახო მემკვიდრეობითი სამართალი	V	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია
25	საგადასახადო და საბაჟო სამართალი	V	5	სისხლის სამართალი	პროფ. ე. ჭანტურია
26	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I	V	5	არ აქვს	მოწვ. პროფ. რ. კვარაცხელია ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
27	სამეწარმეო სამართალი	V	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია ასისტ.-პროფ. კ. ფაჩოშვილი
28	სამოქალაქო სამართლის პროცესი	V	5	შესავალი სამოქალაქო სამართალში	პროფ. გ. გიორგაძე მოწვ. მასწ. გ. ფარადაშვილი
29	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	VI	5	სამოქალაქო სამართლის პროცესი	პროფ. გ. გიორგაძე ასისტ.-პროფ. კ. ფაჩოშვილი
30	შრომის სამართალი	VI	5	არ აქვს	პროფ. ე. ჭანტურია
31	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	VI	5	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I	მოწვ. პროფ. რ. კვარაცხელია; ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი

32	საკორპორაციო სამართალი	VI	5	სამეწარმეო სამართალი	პროფ. ე. ჭანტურია ასისტ.-პროფ. კ. ფაჩოშვილი
33	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი I	VI	5	არ აქვს	პროფ. ი. ბოხაშვილი ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
34	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	VI	5	ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი	პროფ. ე. ჭანტურია ასისტ.-პროფ. კ. ფაჩოშვილი
35	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი II	VII	5	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი I	პროფ. ი. ბოხაშვილი ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
36	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	VII	5	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	პროფ. ე. ჭანტურია ასისტ.-პროფ. კ. ფაჩოშვილი
37	საერთაშორისო სისხლის სამართალი	VII	5	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	მოწვ. პროფ. რ. კვარაცხელია ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
38	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება	VII	5	არ აქვს	პროფ. გ. გიორგაძე
39	სასჯელაღსრულებითი სამართალი	VII	5	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი II	მოწვ. მასწ. გ. მაისურაძე ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
40	კრიმინოლოგია	VII	5	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	მოწვ. პროფ. რ. კვარაცხელია ასისტ.-პროფ. ჯ. მაილაშვილი
41	იურიდიული ფსიქოლოგია	VIII	5	არ აქვს	ასოც. პროფ. ქ. კახიანი

42	კრიმინალისტიკა	VIII	5	სისხლის სამართლის პროცესი ნაწილი II	მოწვ. მასწ. გ. მაისურაძე
43	სასწავლო პრაქტიკა	VIII	10		მოწვ. მასწ. ნ. ნემსიწვერიძე
44	**საბაკალავრო ნაშრომი**	VIII	10		